HTMC-PM-018-V.1.0

პაციენტის პირადი ნივთების დაცვა

2024 წელი

დოკუმენტი	სტანდარტული ოპერაციული პროცედურა
დასახელება	**პაციენტის პირადი ნივთების დაცვა**
დოკუმენტის ნომერი	1.0
მფლობელი	კლინიკური დეპარტამენტები
დანერგვის თარიღი	19.07.24
მომდევნო გადახედვის დრო	07.25
ავტორი	ხარისხის სამსახური, იურიდიული სამსახური
დამტკიცებულია	კლინიკური დირექტორი

მიზანი: ამ SOP-ის მიზანია უზრუნველყოს, რომ არსებობდეს შესაბამისი პროცედურები პაციენტების ქონების დასაცავად და მათი დაკარგვის ან დაზიანების რისკის მინიმუმამდე შესამცირებლად. პროცედურა სამედიცინო პერსონალს აწვდის სახელმძღვანელოს, რათა მათ იცოდნენ თავიანთი ინდივიდუალური პასუხისმგებლობები პაციენტის ქონების მართვასთან დაკავშირებით და გააცნობიერეონ პროცედურის დაუცველობის შესაძლო შედეგები. აღნიშნული პროცედურა ასევე შეიცავს ინფორმაციას, რომლის შესახებაც პაციენტები და მათი ოჯახის წევრები უნდა იყვნენ ინფორმირებული (პაციენტების საკუთრებისა და პირადი ნივთების ბროშურა ხელმისაწვდომია ქვემოთ არსებული დანართი 1-ს სახით). პროცედურა უზრუნველყოფს გამჭირვალე და თანმიმდევრულ პოლიტიკას პაციენტის პირადი ნივთების დაცვის მიმართ. პროცედურა განმარტავს დაზიანებული ან დაკარგული ქონების სამართლიანი და პროპორციული ანაზღაურების პროცესს.

პროცედურა:

კლინიკა არ არის პასუხისმგებელი ყოველი ნივთის დაკარგვაზე, ქურდობაზე ან დაზიანებაზე, რომელსაც პაციენტი ინახავს კლინიკაში ყოფნის დროს (ჩაუბარებელი ნივთები); პაციენტის პასუხისმგებლობაა საკუთარი ნივთების შენახვა და უსაფრთხოდ დაცვა, თუმცა კლინიკამ უნდა გადადგას ყველა გონივრული და პრაქტიკული ნაბიჯი, რათა უზრუნველყოს პაციენტის ქონების უსაფრთხოება. ეს გულისხმობს ადგილზე უსაფრთხოების ღონისძიებების დაცვას მსოფლიო სტანდარტების შესაბამისად.

კლინიკა არ არის პასუხისმგებელი პაციენტის ქონების დაკარგვაზე, თუ ეს გამოწვეულია ბუნებრივი მიზეზით (მაგ. ხანძარი ან წყალდიდობა), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს უკანასკნელი განპირობებული იყო პერსონალის დაუდევრობით.

პაციენტის ქონების შესანახი ფართი შეზღუდულია, ამიტომ კლინიკა იტოვებს უფლებას დააწესოს გონივრული შეზღუდვები პალატაში არსებული ნივთების რაოდენობაზე.

მიიჩნევა, რომ პაციენტებს აქვთ გონებრივი უნარი, მიიღონ გადაწყვეტილებები საკუთარი ქონების შენახვასთან დაკავშირებით. თუმცა, თუ არსებობს ეჭვი, რომ პაციენტს არ გააჩნია შესაბამისი უნარი, პერსონალმა უნდა შეასრულოს პროცედურები პაციენტის ინტერესების შესაბამისად.

პაციენტის ქონებისა და ძვირფასი ნივთების მართვისას, ყურადღება უნდა მიექცეს კულტურულ და რელიგიურ მრწამსს, პაციენტისა და მისი ოჯახის წევრების ღირებულებებს ძვირფას ნივთებთან დაკავშირებით.

კლინიკა პასუხისმგებელია პაციენტის ქონებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან აიღო პასუხისმგებლობა მასზე ანუ, როდესაც პაციენტი კლინიკის წარმომადგენელს გადასცემს ნივთს უსაფრთხოდ შესანახად. თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც კლინიკის მხრიდან პაციენტისადმი ზრუნვის მოვალეობა ნიშნავს, რომ შეიძლება არსებობდეს ქონების მოვლის ვალდებულება მაშინაც კი, როდესაც არ მომხდარა პასუხისმგებლობის აშკარა გადაცემა, რაც დაკავშირებულია პაციენტის შეზღუდულ უნართან. მენტალური შესაძლებლობის დონე შეიძლება მერყეობდეს კლინიკაში ყოფნის განმავლობაში; მაგალითად, როცა პაციენტი უგონო მდგომარეობაშია, აქვს ანესთეზია, დემენცია ან დელირიუმი.

პროცედურასთან შესაბამისობა, მათ შორის პაციენტის ქონებასთან დაკავშირებით გაკეთებული ადეკვატური ჩანაწერების წარმოება, საშუალებას მისცემს კლინიკას აჩვენოს, რომ პერსონალი გონივრულად მოქმედებდა პაციენტის ქონების შენახვისას და, შესაბამისად, არ იყო გამოჩენილი დაუდევრობა.

პაციენტის ინფორმირება და რჩევა

კლინიკას გააჩნია საკუთრების და პირადი ნივთების ბროშურა (დანართი 1), რომელიც ხელმისაწვდომია ყველა პაციენტისთვის და მათი ოჯახის წევრებისთვის.

პაციენტებმა და ოჯახის წევრებმა უნდა შეზღუდონ მათ მიერ კლინიკაში შემოტანილი ქონების რაოდენობა და ღირებულება და სახლში გაგზავნონ ყველა არასაჭირო ნივთი.

პაციენტებს და ოჯახის წევრებს ურჩევენ, მკაფიოდ დაასახელონ ყველა ქონებრივი ნივთი, რომელიც მათ აქვთ კლინიკაში მიყვანისას.

კლინიკის პასუხისმგებლობის შესახებ განაცხადი (დანართი 2) თვალსაჩინოდ იქნება გამოკრული მიმღებში და ყველა სერვისისა და განყოფილების შესასვლელზე, რომელიც შეახსენებს პაციენტებსა და მათი ოჯახის წევრებს, რომ კლინიკა არ შეიძლება იყოს პასუხისმგებელი რაიმე სახის ძვირფას ნივთებზე, თუ ისინი არ გადაეცემა შესანახად კლინიკის წარმომადგენელს.

კლინიკას არ გააჩნია შესაბამისი საშუალებები მობილური ტელეფონების ან პორტატული ელექტრონული მოწყობილობების უსაფრთხოდ შესანახად. კლინიკა პაციენტებს ურჩევს, არ შეიტანონ ეს ნივთები კლინიკაში; მაღალია მათი შემთხვევითი დაზიანების ან დაკარგვის რისკი.

კლინიკას არ გააჩნია პაციენტის იმ ნივთების უსაფრთხოდ შენახვის შესაძლებლობები, რომელთა თვითღირებულება დაბალია (მაგალითად ფეხსაცმელი და ტანსაცმელი). ტანსაცმლის რეგულარული აღრიცხვა, როგორც წესი, არ ხდება და ის ინახება პაციენტთან ერთად.

ძირითადი პირადი ნივთები, როგორიცაა სათვალე, სმენის აპარატები და პროთეზები შეიძლება იყოს მაღალი ღირებულების, მაგრამ პაციენტს, როგორც წესი, სურს დაიტოვოს ეს ნივთები (შეუნახავი ნივთები). ამ ნივთების უსაფრთხოების შესანარჩუნებლად, პაციენტებს/ოჯახებს უნდა მიეცეთ რეკომენდაცია, თან იქონიონ აღნიშნული ნივთების შესანახი სათავსოები და დარწმუნდნენ, რომ მათზე მკაფიოდ არის დატანილი ნივთის

დასახელება და სერიული ნომერი, შესაძლებლობისას მობილური აპლიკაციით განხორციელდეს მოწყობილობის მონიტორინგი.

ყველა შეუნახავი ნივთი (იქნება ეს ძვირფასი ნივთები, ძირითადი პირადი ნივთები თუ დაბალი თვითღირებულების ნივთები) შესაბამისად დარჩება პაციენტის პასუხისმგებლობის ქვეშ. არსებობს შეუნახავი ნივთების დაკარგვის ან დაზიანების მომატებული რისკი, ამიტომ რეკომენდირებულია, რომ ამ ნივთების დანაკარგი ან დაზიანება დაცული იყოს პირადი/საოჯახო დაზღვევის მეშვეობით. ეს მოიცავს სმენის აპარატებს, სათვალეებს და პროთეზებს, ასევე მობილურ ელექტრონულ ნივთებს. კლინიკა არ იღებს პასუხისმგებლობას შეუნახავ ნივთებზე.

კლინიკაში მიღება

იმ პაციენტებისთვის, რომლებიც კლინიკაში მოდიან სასწრაფო დახმარების ბრიგადის მეშვეობით და არ შეუძლიათ თავიანთი ქონების მოვლა, ნებისმიერი შემოტანილი ქონება ან პაციენტისგან ამოღებული ნივთები შეინახება ქონებრივი ნივთების ჩანთაში, დალუქული, ეტიკეტირებული, და პაციენტის საკუთრების ჟურნალში აღრიცხული სახით და მოთავსდება პაციენტების საკუთრების შესანახ სივრცეში. ნივთები, რომელთა ამოღება შეუძლებელია (მაგ. ბეჭდები), უსაფრთხოდ უნდა დაფიქსირდეს პაციენტზე (მაგ. სახვევის მეშვეობით) და აღირიცხოს პაციენტის პირადი ნივთების სიაში და პასუხისმგებლობის განაცხადის ფორმაში (დანართი 3).

როდესაც სხეულის დაზიანების ან სამკურნალო ღონისძიებების გამო საჭირო ხდება პაციენტის ტანსაცმლის მოცილება, შეიძლება გარდაუვალი აღმოჩნდეს ტანსაცმლის ან ფეხსაცმლის დაზიანება. საკუთრება უნდა შეინახონ უსაფრთხოდ, მარკირებული სახით, რათა თავიდან იქნას აცილებული მისი დაკარგვა ან არასწორი იდენტიფიკაცია.

ძლიერ დაბინძურებული ნივთები შეიძლება განადგურდეს და შესაძლებლობისას, გამოთხოვილი იყოს თანხმობა გადაგდებაზე. ნებისმიერი მოცილებული, დაზიანებული ან განადგურებული ნივთი უნდა აღირიცხოს პაციენტის ჩანაწერებში.

შენახული ნივთები (საკუთრება გადაცემულია კლინიკაში შესანახად)

ჰოსპიტალიზაციისას ან მიღებიდან რაც შეიძლება მალე, ყველა პაციენტს უნდა შესთავაზონ მათი ძვირფასი ნივთების შესანახი საშუალებები.

კლინიკის პაციენტის საკუთრების დაცვის პროცედურა ძვირფასი ნივთების უსაფრთხოდ შესანახად შეგიძლიათ იხილოთ დანართში (5); ყველა ნივთი მოწმდება და აღირიცხება, ისე როგორც გამოიყურება მაგ. ყვითელი ლითონის ბეჭედი ერთი გამჭვირვალე ქვით, სამედიცინო პერსონალის ორი წევრის მიერ. ფორმას ხელს აწერს პერსონალის ორი წევრი და პაციენტი ან მათი წარმომადგენელი და ასლი გადაეცემა პაციენტს.

სამედიცინო პერსონალი, რომელმაც მიიღო ქონება პაციენტისგან, პასუხისმგებელია, უზრუნველყოს ყველა ჩაბარებული ნივთის მოთავსება სეიფში ან უსაფრთხო ადგილას.

შეუნახავი ნივთები (ქონება, რომელიც არ გადაეცემა კლინიკას შესანახად და ინახება პაციენტის მიერ)

პაციენტის საკუთრებისა სიასა და პასუხისმგებლობის განაცხადის ფორმაში (დანართი 3) ახსნილი უნდა იყოს ნებისმიერი ქონებრივი ნივთის დაკარგვის ან დაზიანების გაზრდილი რისკი, რომელსაც პაციენტი ირჩევს თავისთან დასატოვებლად. ფორმა უნდა იყოს შევსებული და ხელმოწერილი პაციენტის ან მათი წარმომადგენლისა და მედპერსონალის წევრის მიერ. ყველა ელემენტი ნათლად უნდა იყოს აღწერილი, როგორც ჩანს, მაგ., ყვითელი ლითონის ბეჭედი გამჭვირვალე ქვით.

ყველა პალატასა და განყოფილებაში გამოყენებული იქნება პაციენტის საკუთრების ერთი და იმავე სია და პასუხისმგებლობის განაცხადის ფორმა (დანართი 3) თანმიმდევრულობის უზრუნველყოფისა და შეცდომის რისკის შემცირების მიზნით.

აუცილებელი პირადი ნივთები, როგორიცაა პროთეზები, სმენის აპარატები და სათვალეები, საჭიროა პაციენტის გამოჯანმრთელებისა და კეთილდღეობისთვის და ამიტომ უნდა შემოწმდეს სამედიცინო მოვლის ფარგლებში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შეზღუდული ღირებულების ნივთები, მაგ., ტანსაცმელი და ჰიგიენური ნივთები, როგორ წესი, რუტინულად არ აღირიცხება. ჩვეულებრივ ეს ნივთები ბრუნდება სახლში და ახლდება კლინიკაში ყოფნის განმავლობაში და არაგონივრული იქნება, რომ მედპერსონალს მოეთხოვოს, დააფიქსიროს ან აღრიცხოს ამ ნივთებში რაიმე მცირე ცვლილება.

სადაც ეს შესაძლებელია (თუ ეს უკვე არ არის გაკეთებული პაციენტის ან ოჯახის წევრების მიერ) უზრუნველყავით ნივთების მარკირება.

მედპერსონალის წევრი, რომელსაც მოჰყავს პაციენტი კლინიკაში, პასუხისმგებელია პირადი ნივთების შესახებ ჩანაწერის შევსებაზე, როგორც ჰოსპიტალიზაციის ჩანაწერების წარმოების რუტინულ ნაწილზე. ამის დაცვა ხელს შეუწყობს პაციენტის საკუთრების უსაფრთხოებას.

პალატებსა და განყოფილებებში მიიღებული იქნება ეფექტური უსაფრთხოების ზომები, საწოლების გაშლის, ნაგვის ყუთების დაცლისა და კვების დასრულების შემდეგ საკვები კონტეინერების შემოწმებისას.

სამედიცინო პერსონალი ვალდებულია შეამოწმოს და აღრიცხოს პირადი ნივთები კლინიკაში ყოფნის მნიშვნელოვან მომენტებში ანუ მიღების, გადაყვანის და გაწერის დროს. შეუნახავი ქონება რეგულარულად არ მოწმდება.

საკუთრების ნუსხა და პასუხისმგებლობის განაცხადის ფორმა ინახება სამედიცინო ჩანაწერებთან ერთად. თუ მიიჩნევა, რომ პაციენტს შეუძლია თავისთან დაიტოვოს საკუთრება, მაგრამ უარს ამბობს უარის შესაბამისი განაცხადის ხელმოწერაზე, ეს აღინიშნება ჩანაწერების შენიშვნის ველში, რომელსაც ხელს აწერს მედპერსონალის ორი წევრი და პაციენტს აცნობებს, რომ კლინიკა არ აიღებს პასუხისმგებლობას.

თუ პაციენტი ვერ უვლის თავის საკუთრებას ავადმყოფობის გამო, ან არ აქვს უნარი გააცნობიეროს კლინიკის უარი პასუხისმგებლობაზე და არ არის სხვა წარმომადგენელი

პასუხისმგებელი პირი, ძვირფასი ნივთების უსაფრთხოდ შენახავაზე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მორიგე ექთანმა; უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ ყველა გადაწყვეტილება მიღებული იქნება პაციენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. გადაწყვეტილება უნდა იყოს დოკუმენტირებული პაციენტის ჩანაწერებში.

პაციენტებს, რომლებთანაც იგეგმება ქირურგიული ჩარევა, მოეთხოვებათ მოიცილონ ძვირფასეულობა ან სხვა ქონებრივი ნივთები. პროცედურის დაწყებამდე ნებისმიერი ძვირფასი ნივთი უნდა გადაეცეს კლინიკას უსაფრთხოდ შესანახად.

მედპერსონალი იქნება წახალისებული, შეინარჩუნოს მობილიზება ქონების შენახვასთან დაკავშირებით, განყოფილებების შეხვედრებზე პროცედურა ყოველწლიურად განახლდება.

კლინიკადან გაწერა

გაწერისას მთელი ქონება უნდა დაუბრუნდეს პაციენტს/ოჯახს. ნებისმიერი შეუსაბამობის შესახებ პაციენტმა/ ოჯახმა უნდა განაცხადოს გაწერამდე.

შეძლებისდაგვარად, მოახლოებული გაწერის შესახებ ინფორმაცია 24 საათით ადრე უნდა უნდა მიეწოდოს პაციენტთა საკუთრების შესანახ ოფისს იმ ძვირფასი ნივთების დასაბრუნებლად, რომლებიც იქ იყო დაცული. ეს უნდა იყოს სამუშაო საათებში (09.00 – 16.00), რათა შესაძლებელი იყოს ყველა ძვირფასი ნივთის დაბრუნება.

თუ პაციენტი გაწერეს არასამუშაო საათებში და ცნობილია, რომ ქონება ღამის სეიფშია მოთავსებული, პასუხისმგებელი მენეჯერი უნდა იყოს ინფორმირებული ამ ქონების დაბრუნების დაგეგმარებისთვის.

გარდაცვლილი პაციენტების ყველა ძვირფასი ნივთი და ქონება უნდა დაფიქსირდეს პაციენტის პირადი ნივთების სიაში დანართი №3-ის შესაბამისად და გადატანილი იქნეს შესანახად. პირადი ნივთები უნდა იყოს აღრიცხული და მოთავსებული დალუქულ და ეტიკეტირებულ კოლოფში. ტანსაცმელი უნდა განთავსდეს ცალკე კონტეინერში. შეხედულებისამებრ, პერსონალმა ცალ-ცალკე უნდა შეფუთოს ნებისმიერი მალფუჭებადი ნივთი ან დაბინძურებული შეზღუდული თვითღირებულების ნივთები. თუ ნივთები შელახულია და მათი შენახვა შეუძლებელია, შეიძლება მათი გადაყრა, რაც დაფიქსირებული უნდა იყოს პაციენტის ჩანაწერებში.

მაქსიმალური ძალისხმევა უნდა იყოს გაწეული საკუთრების კანონიერ მფლობელთან დაბრუნების უზრუნველსაყოფად. ეს შეიძლება გულისხმობდეს ახლობლებთან ან პირად ექიმთან დაკავშირებას. გარდაცვალებიდან ან გაწერიდან ერთი თვის შემდეგ, ნებისმიერი გამოუყენებელი, შეზღუდული თვითღირებულების ქონება შეიძლება განადგურდეს. ძვირფასი ნივთები შეინახება ერთი წლის განმავლობაში.

გაწერისას კლინიკა არ შეინახავს ან დააბრუნებს, რაიმე უკანონო, აკრძალულ ან პოტენციურად საშიშ პირად ნივთებს, როგორიცაა, მაგალითად (და არა მხოლოდ) - ალკოჰოლი, რეცეპტით გამოუწერელი ნარკოტიკები, ნარკოტიკული საშუალებების დასამზადებლად გამოსაყენებელი ნივთიერებები, ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო

მასალა, დანები (5სმ-ზე მეტი არადასაკეცი დანა) ან სხვა იარაღი. ასეთი ნივთები შეიძლება განადგურდეს ან გადაეცეს პოლიციას.

ქონების ან ძვირფასი ნივთების დაკარგვა ან დაზიანება

როდესაც კლინიკამ აიღო პასუხისმგებლობა ძვირფასეულობებზე (შენახული ნივთები) და ისინი დაკარგული ან დაზიანებულია, ინციდენტი დოკუმენტირდება და უნდა ჩატარდეს სრული გამოძიება. დაცვის სამსახური უნდა იყოს ინფორმირებული მოპარულ ქონებასთან დაკავშირებული პოტენციური ბრალდებების შესახებ.

როდესაც პაციენტი/ოჯახი კლინიკას ატყობინებს ქონების ან ძვირფასი ნივთების რაიმე დანაკარგის ან დაზიანების შესახებ, რომელიც არ არის კლინიკას შესანახად გადაცემული (შეუნახავი ნივთები), საკითხი უნდა გადაეცეს უფროს ექთანს ან მის მოადგილეს.

ზარალის განცხადებიდან რაც შეიძლება მალე ან 24 საათის განმავლობაში, უფროსმა ექთანმა უნდა უზრუნველყოს ტერიტორიის საფუძვლიანი ძებნის ორგანიზება (სათავსო, საწოლი ადგილი, ურნები, აბაზანა, ქონების შესანახი ადგილები და სამზარეულო). ამ ძიების პროცესის ნაწილია ასევე პაციენტის საკუთრების შესანახ ოფისთან და იმ განყოფილებებთან დაკავშირება, რომლებშიც პაციენტი იმყოფებოდა ქონებრივი ნივთის ბოლოს ნახვის შემდეგ. უნდა შედგეს დაკარგული ან დაზიანებული ქონების მოძიების აქტი. დაცვის სამსახურთან დაკავშირება შესაძლებელია განყოფილების გარეთ ნებისმიერი სამძებრო მოქმედების მხარდასაჭერად.

თუ ნივთი ვერ მოიძებნა, დაკარგული ან დაზიანებული საკუთრების გამოძიება დასრულდეს 3 სამუშაო დღის განმავლობაში. ამ შემთხვევაშიც უნდა შედგეს აქტი და დადასტურდეს უფროსი ექთნის ან მოადგილის მიერ.

თუ პაციენტი/ოჯახი მიიჩნევს, რომ ნივთი მოიპარეს, უნდა ეცნობოს დაცვის სამსახურს და პაციენტთან/ ოჯახის წევრთან შეთანხმდეს, სურთ თუ არა ამის შესახებ აცნობონ პოლიციას. თუ არსებობს რაიმე ეჭვი თაღლითობაზე, მაგ. ზემოაღნიშნულ დოკუმენტში ჩანაწერების შეცვლა/გადაკეთება, რჩევისთვის უნდა დაუკავშირდეთ ადმინისტრაციას.

თუ დადგინდა, რომ ქონების დაკარგვა ან დაზიანება უკავშირდება პერსონალის მოქმედებას ან უმოქმედობას, ეს უნდა დადასტურდეს შესაბამისი აქტით. უნდა შესთავაზონ თუ არა პაციენტს ფინანსური კომპენსაცია, გადაწყდება დეპარტამენტის ხელმძღვანელის და უფროსი ექთნის მიერ.

დაზიანებული და დაკარგული ნივთის ფინანსური კომპენსაციის გადაწყვეტილებისას გათვალისწინებული იქნება შემდეგი გარემოებები:

- ქონების ტიპი და მდგომარეობა და დაკარგვის ან დაზიანების გარემოებები;
- ხელმოწერილი იყო თუ არა პასუხისმგებლობის განაცხადი;
- პაციენტის უნარი, ყურადღება მიექცია საკუთარი ქონებისთვის დაკარგვის მომენტში;
- სად იყო ნივთი შენახული;
- ზარალის მიზეზი გახდა თუ არა პროცედურის შეუსრულებლობა.

თუ განყოფილების ხელმძღვანელის და უფროსი ექთნის მიერ გადაწყდება ფინანსური ანაზღაურება, შესაბამისი ინფორმაცია უნდა მიეწოდოს პაციენტს/ოჯახის წევრს.

თუ ფინანსური ანაზღაურების საკითხი არ განიხილება, პაციენტს/ოჯახს ეგზავნება შეტყობინება, სადაც მოცემულია დამატებითი დეტალები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აღმოიფხვრას მათი შეშფოთება, თუ ისინი უკმაყოფილონი არიან შედეგით.

კლინიკა პაციენტებს რუტინულად არ შესთავაზებს შემცვლელ ნივთს, მაგრამ შეიძლება განიხილოს ნაწილობრივი ჩანაცვლება, გამოძიების შედეგებიდან გამომდინარე.

ფინანსური კომპენსაცია უნდა დაიფაროს იმ განყოფილების ბიუჯეტიდან, სადაც სავარაუდოდ მოხდა ინციდენტი. გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც გაურკვეველია, სად მოხდა ზარალი და მიიჩნევა, რომ კლინიკა პასუხისმგებელია ზარალზე, საკითხი განიხილება ინდივიდუალურად.

პაციენტის ქონების მართვის პროცედურის შეჯამება შეგიძლიათ იხილოთ დანართში №4

პასუხისმგებლობები:

აღმასრულებელი დირექტორი პასუხისმგებელია ამ პროცედურის შესრულების უზრუნველყოფაზე.

მენეჯერები, განყოფილებების ხელმძღვანელები პასუხისმგებელნი არიან უზრუნველყონ, რომ მედპერსონალის ყველა წარმომადგენელი იყოს ინფორმირებული ამ პროცედურის შესახებ და ჰქონდეს შესაბამისი უნარები და რესურსი მის წარმატებით განსახორციელებლად. ეს გულისხმობს შესაბამის მონიტორინგს და აუდიტსაც.

განყოფილების უფროსი ექთნები პასუხისმგებელნი არიან: მართონ კლინიკის პოლიტიკისა და პროცედურების განხორციელება, მათ შორის დაკარგული ქონების გამოძიება; უზრუნველყონ, რომ პერსონალმა იცის თავისი პასუხისმგებლობა და იცავს პოლიტიკას; უზრუნველყონ საკუთრების შესახებ ზოგადი განაცხადის საჯაროობა.

პაციენტის მიმღებმა ექთანმა უნდა უზრუნველყოს, რომ პაციენტები იყვნენ ინფორმირებული ან ჰქონდეთ წვდომა ქონებისა და პირადი ნივთების ბროშურაზე (დანართი 1); საჭიროებისამებრ დაორგანიზოს ქონების შენახვა და რომ მთელი ქონება დოკუმენტირებული იყოს ამ პროცედურის შესაბამისად (იხ. დანართი 4).

ყველა პერსონალს ეკისრება პასუხისმგებლობა, მოახდინოს რეაგირება პოტენციურ ქურდობასთან დაკავშირებით და შესაბამისად, მიმართოს თაღლითობის საწინააღმდეგო სამსახურებს.

პერსონალს აქვს პასუხისმგებლობა განმუხტოს პოტენციურ ქურდობასთან დაკავშირებული საკითხები და გადაამისამართოს თაღლილთობის გამოძიებაზე პასუხისმგებელ ორგანოსთან.

პერსონალი პასუხისმგებელია პაციენტის შენახული საკუთრების უსაფრთხოდ დაბრუნებაზე და ვალდებულია, გამოიჩინოს გონივრული გულისხმიერება პაციენტების საკუთრების, უსაფრთხოების ზომების დაცვის და ამ პროცედურის შესრულების მიმართ.

ძირითადი მოქმედებები:

- რეგულარულად შეაფასეთ ამ SOP-ის ეფექტურობა.
- საჭიროებისამებრ იზრუნეთ გაუმჯობესებაზე.

დანართი №1

საკუთრებისა და პირადი ნივთების ბროშურა

ვის უნდა მივმართო, თუ დავკარგე ჩემი საკუთრება ან მაქვს კითხვა მასთან დაკავშირებით?

- გთხოვთ, მიმართოთ განყოფილების უფროს ექთანს, თუ თქვენი ძვირფასი ნივთები მოთავსებული იყო სეიფში და თქვენთვის არ დაუბრუნებიათ;
- თუ არ გახსოვთ, სად მოათავსეთ თქვენი ძვირფასი ნივთები ან დაკარგეთ ისინი, გთხოვთ, მიმართოთ განყოფილების უფროს ექთანს, რომელიც საფუძვლიანად უზრუნველყოფს მოძიების პროცესს;
- თუ უკმაყოფილო ხართ განყოფილების დონეზე ორგანიზებული ძებნის პროცესით, გთხოვთ მიმართოთ პაციენტთა გამოცდილების გუნდს, რომელიც დაგეხმარებათ ძიების პროცესის გადახედვაში კლინიკის პოლიტიკის შესაბამისად.

პირველ რიგში, გთხოვთ დაეკონტაქტეთ განყოფილების უფროს ექთანს, რომელშიც მკურნალობდით.

რა უნდა წამოვიღო კლინიკაში?

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენს სამედიცინო ცენტრში. ეს ბროშურა თქვენ და თქვენს ოჯახის წევრებს მოგაწვდით საჭირო ინფორმაციას იმ ნივთების შესახებ, რაც უნდა წამოიღოთ კლინიკაში.

კლინიკის სტაციონარში დასარჩენად მოსვლისას, გთხოვთ წამოიღოთ:

- ყველა მედიკამენტი, რომლებსაც ახლა იღებთ;
- დანიშნულების ფურცელი (რეცეპტი), რომელსაც რეგულარულად იღებთ თქვენი პირადი ექიმისგან;
- თუ გაქვთ რაიმე დღიური, სადაც აღრიცხულია მონაცემები თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;
- თქვენი ხელჯოხი ან სხვა დამხმარე ხელსაწყო;
- (თუ იყენებთ) სათვალე, სასმენი აპარატი, კბილების პროთეზი მათ შესანახ კონტეინერებთან ერთად;
- პირადი ჰიგიენის ნივთები, მათ შორის: კბილის ჯაგრისი, კბილის პასტა, პირსახოცი. შესაძლოა, გამოგადგეთ სველი ხელსახოცები;
- საღამური, ხალათი, საცვალი და ჩუსტები;
- საჭიროებისას, კომფორტული ტანსაცმელი დღის განმავლობაში ჩასაცმელად.

გთხოვთ გარკვევით დააწერეთ თქვენი მონაცემები თქვენს ყველა საკუთრებას. ეს დაგეხმარებათ მათ უსაფრთხოდ შენახვაში.

სხვა მნიშვნელვანი ინფორმაცია და რჩევები

- ჩვენ ვცდილობთ ყველა გონივრული ნაბიჯის გადადგმას თქვენი საკუთრების უსაფრთხოდ შესანახად და მათი დაკარგვის ან დაზიანების რისკის მინიმუმამდე შესამცირებლად.
- ჩვენ სრულ პასუხისმგებლობას ვერ ავიღებთ თქვენს ყველა საკუთრებაზე, თუ ის არ გადაეცემა კლინიკის თანამშრომელს უსაფრთხოდ შესანახად. ჩვენ გვაქვს ძვირფასი ნივთების შესანახი სივრცეები, მაგრამ არ გვაქვს სივრცე, შევინახოთ დანარჩენი პირადი ნივთები.

- დაგჭირდებათ შესაბამის ფორმაზე ხელმოწერა, თუ გადაწყვეტთ, რომ საკუთრება თან დაიტოვოთ (ეს გულისხმობს ფულს და ნებისმიერ ძვირფასეულობას, რასაც ატარებთ).
- ჩვენ მოველით, რომ აიღებთ პასუხისმგებლობას თქვენ საკუთრებაზე კლინიკაში ყოფნის პერიოდში. მნიშვნელოვანია გვაცნობოთ, თუ თქვენთვის ამის გაკეთება რთულია.
- საწოლთან გექნებათ სათავსო, მაგრამ სივრცე ლიმიტირებულია და ხანდახან გვჭირდება ნივთების მოცულობის შეზღუდვა. თან უნდა იქონიოთ მხოლოდ ის ნივთები, რომლებიც რეალურად გჭირდებათ და სთხოვოთ თქვენს ახლობლებს დანარჩენი ნივთების უკან წაღება.
- ჩვენ არ გვაქვს თქვენი ელექტრონული მოწყობილობების შესანახი სივრცე.
- დატოვეთ თქვენი ელექტრონული მოწყობილობები სახლში, რადგან არსებობს მათი შემთხვევითი დაზიანების ან დაკარგვის რისკი.
- ჩვენ არ გვაქვს ჩასაკეტი სათავსოები საწოლის გვერდით, ამიტომ გთხოვთ, არ წამოიღოთ თქვენთვის ფინანსურად ან ემოციურად ღირებული ნივთები ან ძვირფასეულობა კლინიკაში.
- უზრუნველყავით, რომ ნებისმიერი ძვირფასი ნივთი, რომლის კლინიკაში წამოღებასაც გადაწყვეტთ, მაგალითად მობილური ტელეფონი, სასმენი აპარატი, სათვალე, კბილის პროთეზი, დაცულია პირადი ან საოჯახო დაზღვევის მიერ დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში.
- ჩვენ რუტინულად არ აღვრიცხავთ თქვენ მიერ კლინიკაში წამოღებულ ტანსაცმელს, რადგან ის ხშირად ბრუნდება სახლში ან იცვლება კლინიკაში ყოფნის პერიოდში და არაგონივრული იქნება, პერსონალს დაევალოს თითოეული ცვლილების იდენტიფიკაცია და აღრიცხვა.
- ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ დავუბრუნოთ საკუთრება კანონიერ მფლობელს და გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა დაკარგული ნივთის საპოვნელად, სანამ კლინიკას დატოვებთ.
- კლინიკის დატოვებამდე ყურადღებით უნდა შეამოწმოთ თქვენი ყველა კუთვნილება და აცნობოთ პერსონალს, თუ რაიმე დაკარგულია. განყოფილების პერსონალი ვალდებულია დაგეხმაროთ თქვენი ნივთის მოძებნაში და დაგეგმოს უფრო საფუძვლიანი სამძებრო სამუშაოები, თუ ნივთის პოვნა ვერ ხერხდება.

პირადი ნივთების შესახებ პასუხისმგებლობის განაცხადი

ჩვენ ვერ ავიღებთ პასუხისმგებლობას კლინიკაში შემოტანილი ნივთის დაკარგვის ან დაზიანების გამო, თუ ის არ გადაეცა კლინიკის პერსონალს უსაფრთხოდ შესანახად და არ გაფორმებულა შესაბამისი დოკუმენტაცია

დანართი №3

განყოფილებაში შემოსვლისას / გადმოყვანისას / გადაყვანისას / გაწერისას ჰქონდა თუ არა პაციენტს აღნიშნული ნივთები					
ნივთი	მიღება თარიღი:		გაწერა თარიღი:		კომენტარები
	დიახ	არა	დიახ	არა	
კბილის პროთეზები ა) ზედა ბ) ქვედა გ) მთლიანი					
სათვალე					
ა) სმენის დამხმარე მოწყობილობა ბ) თვალის პროთეზი გ) კიდურის პროთეზი					
ძვირფასი ნივთები (აღწერეთ)					
თანხა (დააზუსტეთ თანხის სრული ოდენობა, ცალკეული კუპიურები, ვალუტა)					
სხვა					
გადაყრილი ნივთები					
პერსონალის ხელმოწერა N1					
პერსონალის ხელმოწერა N2					
პაციენტის / ოჯახის წევრის ხელმოწერა					

დანართი №4

პაციენტის საკუთრების მართვის პროცედურული სქემა

- შემოსვლისას ყველა პაციენტს აქვს წვდომა “საკუთრებისა და პირადი ნივთების” შესახებ ინფორმაციაზე
- შემოსვლისთანავე, შეაფასეთ პაციენტის უნარი, მოუაროს საკუთრებას
- შესთავაზეთ პაციენტს უსაფრთხოდ შესანახი სივრცე, განსაკუთრებით ძვირფასი ნივთებისთვის
- წაახალისეთ, რომ არასაჭირო ან ძვირფასი ნივთები წაიღონ სახლში
- გაითვალისწინეთ, რომ პაციენტის მიერ კლინიკაში შემოტანილი ნივთების რაოდენობა ლიმიტირებულია

↓

პაციენტი ირჩევს, რომ თავად აიღოს პასუხისმგებლობა საკუთრებაზე

↓

პერსონალის პასუხისმგებლობები

- შეავსეთ პაციენტის საკუთრების სია და პასუხისმგებლობის განაცხადი, რომელზეც იქნება პაციენტის/ოჯახის წევრების ხელმოწერა და აღირიცხება ყველა ძვირფასი და ძირითადი პირადი ნივთი
- კბილის პროთეზებისა და სასმენი აპარატებისთვის გამოიყენეთ ეტიკეტირებული კონტეინერები
- დააწერეთ პაციენტის სახელი დიდი ზომის ნივთებს მაგ. ხელჯოხს
- შესაძლოა აღირიცხოს პაციენტის ტანსაცმელიც
- პაციენტს/თანმხლებს აუხსენით ნივთების შენახვის შეზღუდვები
- გამოიჩინეთ ყურადღება თეთრეულის გამოცვლის, ნარჩენების გადაყრის დროს, რათა არ გამოგრჩეთ პაციენტის ნივთები

↓

პაციენტის რეფერალისას

- უნდა შეივსოს პაციენტის საკუთრების სია და პასუხისმგებლობის განაცხადი როგორც გადამყვანი, ისე მიმღები დეპარტამენტის მიერ;
- თუ პაციენტის ძვირფასი ნივთები სეიფშია დაცული, შეატყობინეთ მის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირს პაციენტის რეფერალის შესახებ

↓

პაციენტი აბარებს ნივთებს უსაფრთხოდ შესანახად

↓

პერსონალის პასუხისმგებლობები

- გაეცანით პაციენტის საკუთრების შენახვის პროცედურას
- თანამშრომელი, რომელმაც ჩაიბარა პაციენტის ნივთები, პასუხისმგებელია ყველა ნივთის აღრიცხვაზე და მათ გადაცემაზე შესაბამის შენასახ სივრცეში

↓

გაწერა

თუ შესაძლებელია, შეატყობინეთ პაციენტს ნივთების დაბრუნების შესახებ გაწერამდე 24 საათით ადრე

ყველა ნივთი უსაფრთხოდ უნდა დაუბრუნდეს პაციენტს/ოჯახს.
ნებისმიერი გაუგებრობა უნდა გაირკვეს დეპარტამენტში პაციენტის გაწერამდე